პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 მარტი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 53 (9464) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები

## საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი:

**სპორტული ტანვარჯიში.** „ამერიკის თასის" ღია გათამაშება. ამ შეჯიბრებაში თბილისელმა **ვლადიმერ გოგოლაძემ** „სამი ოქროსა" და მრავალჭიდში ვერცხლის მედლის გარდა, მოიპოვა კიდევ სამი ვერცხლის მედალი (თავისუფალი ვარჯიში, ტაიჭი, რგოლები).

**წყალში ხტომა.** საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის მერცხლები". **გიორგი ჩოგოვაძე** (თბილისი, I ადგილი, კოშკი).

**ძიუდო.** 18-20 წლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება. ოქროს მედლები: **ვახტანგ ჯაფარიძე, დავით ფიცხელაური** და **ვალერი პარუნაშვილი** (სამივე — თბილისი); ვერცხლის მედალი: **რობერტ ლომთაძე** (ქუთაისი). ბრინჯაოს მედალი: **გურამ მოდებაძე, ვალერი პარუნაშვილი** (ორივე — თბილისი), **ალექსანდრე დონგუზაშვილი, მიხეილ ჯიბლაძე** (ორივე—გორი), **ზაზა დაბრუნდაშვილი** (თბილისი).

**მაგიდის ჩოგბურთი.** პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების იუნიორთა პირველობა. **პაატა ფირცხალავა** (სოხუმი, ბრინჯაოს მედალი, შერეულ წყვილთა შეჯიბრება).

დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

## ვლადიმერ გოგოლაძე შინ შვიდი მედლით ბრუნდება



**ამერიკის** შეერთებული შტატებიდან მოვიდა დაზუსტებული ცნობა: თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ვლადიმერ გოგოლაძემ, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა აშშ-ის თასის გათამაშების ღია პირველობაში, პირად სპორტულ ნადავლს კიდევ სამი ვერცხლის მედალი მიუმატა. ასე რომ, გოგოლაძე შინ სულ შვიდი მედლით ბრუნდება. ასეთი მიღწევა ძალზე იშვიათია სპორტის ისტორიაში. გოგოლაძის ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენმა ტანმოვარჯიშემ იგი მოიპოვა შეჯიბრებაში, რომელშიც მსოფლიოს 22 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

## გიორგი ჩოგოვაძის „ოქრო"

**„გაზაფხულის მერცხლები"** წყალში მხტომელთა ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო შეჯიბრებაა, რომელიც, ტრადიციულად, სეზონის დასაწყისში ტარდება. სწორედ ამის გამო მასში მონაწილეობის სურვილს საზღვარგარეთის ბევრი წამყვანი მხტომელი გამოთქვამს. ასე იყო ამჯერა-



დაც. მოსკოვის საცურაო აუზ „ოლიმპიისკში" მაყურებლებმა ბევრი გამოცდილი და ახალგაზრდა ოსტატი ნახეს.

აი, თუნდაც 13 წლის ვორონეჟელი დიმიტრი საუტინი, რომელიც კოშკიდან მხტომელთა შეჯიბრებას დიდხანს ლიდერობდა. მაგრამ მას ძლიერი და გამოცდილი მეტოქეები ჰყავდა, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონის თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის სახით. ბრძოლა განსაკუთრებით ბოლო ნახტომებში გამწვავდა. ჩოგოვაძემ ბრწყინვალედ შეასრულა ისინი და საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულის შედეგია 671,61 ქულა. საუტინმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრა — 668,25 ქულა, ერევნელმა არსენ ჯავადიანმა კი ბრინჯაოსი — 648,42 ქულა.

ქალთა ხტომებში 12 წლის მოსკოველმა ელენა მიროშინამ მეორე გამარჯვება მოიპოვა. იგი კოშკიდან ხტომაშიც უძლიერესი იყო—482,85 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა 14 წლის მოსკოველი ლიუდმილა პერშინა — 444,81 ქულა, მესამეზე — 16 წლის ჩინელი ლო ლი — 441,33 ქულა.

## ცხრა პრიზიორი

**ლუცკში** გაიმართა 1967-1969 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა, რომელშიც სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ყველა უძლიერესი ათლეტი გამოდიოდა. ბრწყინვალედ იასპარეზეს საქართველოს ძიუდოისტებმა: სამმა პირველი, ერთმა — მეორე და ხუთმა მესამე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონები გახდნენ: ვახტანგ ჯაფარიძე (65 კგ, „დინამო" თბილისი), დავით ფიცხელაური (71 კგ, ასკ თბილისი), ვალერი პარუნაშვილი (აბსოლუტური კატეგორია, „დინამო" თბილისი).

მეორე ადგილი ქუთაისის „დინამოს" წარმომადგენელმა რობერტ ლომიძემ (60 კგ) დაისაკუთრა. მესამე საპრიზო ადგილები კი ერგოთ: გურამ მოდებაძეს (65 კგ, ასკ თბილისი), ვალერი პარუნაშვილს (მძიმე, „დინამო" თბილისი), ალექსანდრე დონგუზაშვილს (95 კგ, „ბურევესტნიკი", გორი), მიხეილ ჯალაბაძეს (95 კგ, „ბურევესტნიკი", გორი) და ზაზა დაბრუნდაშვილს (მძიმე, „შრომითი რეზერვები" თბილისი).

შეჯიბრება საუწყებო იყო და მონაწილენი თავიანთ სპორტსაზოგადოებათა ღირსებას იცავდნენ, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ არაოფიციალურად გუნდური შედეგები მაინც გამოიყვანა. საქართველოს მოჭიდავეებს ამ დაანგარიშებით პირველი გუნდური ადგილი ერგოთ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## სუპერფინალისტები ძალებს ზოგავენ

თბილისი. სპორტის სასახლე. 15 მარტი.

„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 87:80 (45:36).

„დინამო": ბოროდაჩოვი (27), ტიუბინი (21), დარსაძე (15), ფერიაშვილი (15), ტალაბაძე (7), გიორგობიანი (2).

„ჟალგირისი": ლეკარაუსკასი (28), ვისოცკასი (12), ვენცლოვასი (11), ჩივილისი (8), კრაპიკასი (8), რაგაუსკასი (7), იანკაუსკასი (6).

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო), ლ. ვაინერმანი (კიევი).

**ახლა** უკვე ცხადი გახდა, რომ ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი" ძალებს სუპერფინალებისთვის ზოგავენ — გადაღლილ კალათბურთელებს დასვენების საშუალებას აძლევენ და სარბიელზე ახალგაზრდებს ცდიან. ვინ იცის, იქნებ მომავალ შეხვედრებში სწორედ მათი დახმარება აღმოჩნდეს გადამწყვეტი.

ანალოგიური პრობლემის წინაშე დგანან ლენინგრადის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" კალათბურთელებიც, რომლებმაც მეორე

იხ. მე-4 გვ.



დინამოელმა ტიუბინმა (№ 5) ამ მატჩში 27 ქულა შესძინა თბილისელებს.



## 23 მარტიდან

**ტარდება მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული, რომლის დევიზია „თამაშებიდან — სპორტში!"**

კვირეული ტარდება წინასწარ გათვალისწინებული პროგრამით, მაგრამ ადგილებზე ეს პროგრამა უნდა გაამდიდრონ ტრადიციული ხალხური თამაშებით. კვირეულში მონაწილეთა ასაკი განუსაზღვრელია. გათვალისწინებულია აგრეთვე თამაშებში მოზარდებისა და მოზრდილების ერთდროული მონაწილეობა.

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ, გვიან საღამოს, სპეციალური თვითმფრინავით საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვიდა „ბორდოს" ფეხბურთელთა გუნდი. გუნდთან ერთად ჩამოვიდნენ კლუბის გულშემატკივრები და ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი.**

**ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

„ტორპედო" — „ბორდოს" მატჩზე საბჭოთა ჟურნალისტთა აკრედიტაცია ჩატარდება ოთხშაბათს, 11-დან 12 საათამდე. დარეკეთ: 93-97-50.

**გასულ შაბათს, როგორც ვიუწყებოდით, ლანჩხუთში გაიმართა სსრ კავშირის 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩი — „გურიამ" უმასპინძლა მოსკოვის „სპარტაკს". ამ ფოტოსურათზე, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო, ლანჩხუთელ და მოსკოველ ფეხბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტია ასახული.**

იხ. მე-3 გვ.



# ვითამაშოთ გო!

## ინერგება სპორტის ახალი სახეობა

ცნობილია, რომ გოს ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ თამაშობდნენ ცენტრალურ აზიაში, ჩინეთსა და იაპონიაში. მეოცე საუკუნიდან იგი მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა. შეიქმნა ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციები. მსოფლიო ფედერაციაში 31 ქვეყანაა გაერთიანებული. ამ სახეობაში ჩატარდა ევროპის 29 და მსოფლიოს 7 ჩემპიონატი. მსოფლიო ჩემპიონთა წოდება ექვსჯერ მოიპოვეს ჩინელმა სპორტსმენებმა. ჩინეთში ამ თამაშს სკოლებშიც კი ასწავლიან.

საბჭოთა კავშირში გო 20-იან წლებში გახდა ცნობილი. მას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა 70-იან წლებში; გამოუშვეს გოს კომპლექტები; ჩამოყალიბდა სექციები მოსკოვში, ლენინგრადში, ყაზანში, კიევსა და პეტროზავოდსკში. საკავშირო სპორტკომიტეტმა შექმნა სრულიად რუსეთის გოს სექცია, 1985 წელს კი ჩატარდა სრულიად რუსეთის თასის გათამაშება როგორც ჭაბუკთა, ისე მოზრდილთა შორის. საქართველოში გო ჯერ კიდევ უცხო თამაშია, მისი წესები სირთულით არ ჩამოუვარდება ჭადრაკისას და შაშისას. შეიძლება ითქვას, გოს ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. დღეს გვინდა გაგაცნოთ ამ მიმზიდველი თამაშის წესები, ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხები, გავარჩიოთ პარტიის საწყისი, შუა და დამამთავრებელი სტადიები.

### ინვენტარი და ძირითადი წესები

გოს კომპლექტში შედის სათამაშო დაფა, თეთრი და შავი ფერის კოჭები ანუ ქვები. სტანდარტული დაფის ზომებია 460X430 მმ. დაფაზე გავლებულია 19 ჰორიზონტალური (a, b, c, d, e, f, g, h, i, k, l, m, n, o, p, q, r, s, t,) და 19 ვერტიკალური (1-დან 19-მდე) ხაზი. მანძილი მეზობელ ვერტიკალურ წერტილებს შორის უნდა იყოს 23,5 მმ, ხოლო ჰორიზონტალურ წერტილებს შორის — 22,5 მმ. დაფაზე წერტილებით საგანგებოდ არის გამოყოფილი 9 პუნქტი: I. dy — 16; II. k —4; III. k—16; IV. ed — 10; V. dy — 4; VI. qy — 4; VI!. q—10; VIII. qy — 16; IX. k—10. თითოეულ ამ პუნქტს „ხოსი" ეწოდება (სიტყვასიტყვით, „ვარსკვლავი"). ამ ცხრა წერტილიდან k—10-ს ეწოდება ცენტრი, ანუ ტენგენი. დაფაზე ჰორიზონტალური ხაზები a, b, c, d და ა. შ. t-მდე იწყება ზევიდან ქვევით, ხოლო ვერტიკალური 1-დან 19-მდე — მარცხნიდან მარჯვნივ (იხ. დიაგრამა № 1).




დიაგრამა 1

კომპლექტში შედის 361 ქვა, 181 შავი და 180 თეთრი. ქვა მრგვალია, ორივე მხარეს ოდნავ ამობურცული. დიამეტრი — 21-22 მმ.

საერთოდ, გოს 19X19-ხაზიანი დაფით თამაშობენ, მაგრამ ბოლო წლებში ფართოდ ინერგება მცირე ზომის — 13X13-ხაზიანი დაფა 169 სათამაშო პუნქტით (85 შავი და 84 თეთრი ფერის ქვა). ამ დაფით უფრო ახალბედები თამაშობენ და, რა თქმა უნდა, პარტიას ნაკლებ დროსაც ანდომებენ.

გოს თამაში შეიძლება არასტანდარტული ზომის დაფაზეც, სადაც ასოები და რიცხვები მითითებული არ იქნება.

თამაშის დროს ქვები ყულაბაში ან ფინჯანში უნდა ეყაროს; სვლების გაკეთებისას მეტოქენი თითოს იღებენ და დაფაზე დებენ. პარტიის განმავლობაში ხშირად ყველა ქვას არც კი იყენებენ.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გადაკვეთის წერტილები სათამაშო პუნქტს ქმნიან.

თამაშობს ორი კაცი — ერთი შავი, ხოლო მეორე თეთრი ფერის ქვებით.

თამაში იწყება ცარიელ დაფაზე, მეტოქეები სვლებს რიგრიგობით აკეთებენ. პირველი სვლა შავებისაა.

მოთამაშეს უფლება აქვს გამოტოვოს სვლა. ამ დროს იგი წარმოთქვამს სიტყვებს: „სვლას ვტოვებ".

სვლა ჰქვია ქვის დადებას დაფის რომელიმე ცარიელ პუნქტზე, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზთა გადაკვეთაზე.

ქვის ფერები წილისყრით უნდა შეირჩეს.

მოთამაშეს სვლის გაკეთებისას ხელი დაფასთან ახლოს უნდა ეჭიროს. სვლა დამთავრებულად ითვლება, როდესაც იგი ქვას დაფაზე დადებს და ხელს გაუშვებს. შენიშვნა: სანამ ქვას ხელს გაუშვებდეს, მოთამაშეს უფლება აქვს იგი დაფის სხვა რომელიმე თავისუფალ ადგილზეც დადოს. ევროპის ფედერაციის წესებით სვლა დამთავრებულად მაშინ ითვლება, როცა ერთ-ერთი პარტნიორი ქვით შეეხება დაფას.

პირველი სვლის უფლების სანაცვლოდ პარტიის დაწყებამდე შავებით მოთამაშე მეტოქეს აძლევს 5,5 ქულას (რასაც „კომი" ჰქვია). აქედან 5 ქულა მას „გადაეცემა" 5 ქვის სახით, რომლებიც ტყვეებად ითვლებიან; ხოლო ნახევარი ქულა — პირობითად. ეს ნახევარი ქულა ყაიმის შესაძლებლობას გამორიცხავს.

თუ მეტოქენი 13X13-ხაზიან დაფაზე თამაშობენ, „კომი" იქნება 3,5 ქულა. აქაც ასევე: 3 ქულა პარტნიორს „გადაეცემა" ქვებით, ხოლო ნახევარი — პირობითად.

ვერტიკალზე ან ჰორიზონტალზე ქვის მომიჯნავე პუნქტებს, თუ ისინი დაკავებული არ არის სხვა, საკუთარი ან პარტნიორის ქვებით, ეწოდება „დამე", ანუ თავისუფალი პუნქტი (დიაგრამა №2, „ა", „ბ" და „გ" პოზიციები. პუნქტები მინიშნებულია ისრებით).




დიაგრამა 2

ერთი ფერის ქვებს, რომელთაც დაკავებული აქვთ მომიჯნავე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური პუნქტები, გადაბმული ქვები ან ქვების ჯგუფი ეწოდება.

ერთი (ან რამდენიმე) ქვა, თუ ყველა მხრიდან მოწინააღმდეგის ქვებით არის გარშემორტყმული და თავისუფალი პუნქტები არა აქვს, მოკლულად (დატყვევებულად) ითვლება. მას მოწინააღმდეგე იღებს დაფიდან (იხ. დიაგრამა №2, დ. ე. ვ. პოზიციები).

3-8 დიაგრამებზე ნაჩვენებია, რომ თეთრები პირველი სვლით სპობენ შავების ქვებს, ესე იგი, შავი



დიაგრამა 3-8

ქვები ალყაშემორტყმულია თეთრი ქვებით და თავისუფალი პუნქტები არა აქვთ. ეს ქვები მოკლულად ითვლება და თეთრებით მოთამაშემ ისინი დაფიდან უნდა აიღოს.

დაფიდან აღებული (დატყვევებული) ქვები მაგიდაზე ისე უნდა დავაწყოთ, რომ მოწინააღმდეგეს შეეძლოს მათი დანახვა, საჭიროების შემთხვევაში კი — დათვლაც.

არ შეიძლება გაკეთდეს სვლა, რომელიც საკუთარ ქვას (ერთს ან რამდენიმეს) უკანასკნელ თავისუფალ პუნქტს მოუსპობს.




დიაგრამა 9

„ბ" პოზიცია. პირველ სვლას თეთრები ვერ გააკეთებენ, რადგან თავისუფალი პუნქტი არა აქვთ.

„გ". თეთრებისთვის პირველი სვლის გაკეთებას აზრი არა აქვს, რადგან შავები „ა" სვლით მათს ქვას დაუყოვნებლივ აიყვანენ;

„დ". თეთრები ვერ ითამაშებენ პირველ სვლას, ვინაიდან ამ სვლით თავიანთ ქვასაც უსპობენ უკანასკნელ თავისუფალ პუნქტს (ისევე როგორც „ბ" პოზიციაში). თეთრების ასეთ სვლებს „თვითმკვლელობას" უწოდებენ.




დიაგრამა 10

„ა" პოზიცია. აქ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: თეთრებს უფლება აქვთ გააკეთონ პირველი სვლა, რადგან მათ ხუთ გადაბმულ ქვას გარს თავისუფალი პუნქტები ეკვრის (ნიშნით X);

„ბ". აქ კი თეთრი ქვები გარშემორტყმულია შავი ფერის ქვებით. რა თქმა უნდა, თეთრებს პირველი სვლის გაკეთების უფლება არა აქვთ, რადგან ამით თავისუფალ პუნქტებს დაკარგავენ. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თეთრები დიაგრამა №11-ზე აღბეჭდილ პოზიციაში. რაც შეეხება დიაგრამა №12-ს, თეთრებს შეუძლიათ სვლა



დიაგრამა 11 დიაგრამა 12

გააკეთონ „ა" წერტილში, რადგან ამ შემთხვევაში სპობენ შავი ქვების ჯგუფს. გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ასეთი სვლით მოწინააღმდეგის ქვების მოკვლა შეიძლება.




დიაგრამა 13

არ შეიძლება ისეთი სვლის გაკეთება, რომელსაც პოზიციის გამეორებისკენ მივყავართ. ესე იგი, არ შეიძლება იმ ქვის დატყვევება, რომელიც პარტნიორმა მხოლოდ წინა სვლაზე დადო დაფაზე და თან ერთი ქვა დაატყვევა. ასეთ პოზიციას „კო" ეწოდება. ამ დროს პარტნიორებს შეუძლიათ რიგრიგობით დაატყვევონ ერთმანეთის ქვები, მაგრამ ყოველ სვლას, რომელსაც მეტოქის ქვის დატყვევება მოჰყვება, წინ უნდა უსწრებდეს დაფის რომელიმე სხვა ადგილას გაკეთებული სვლა. 13 დიაგრამაზე ასეთია კო-ს პოზიცია („ა"); „ბ" პოზიცია: შავებს პირველი სვლით შეუძლიათ აიყვანონ თეთრების ქვა, რაც მოგვცემს „გ" პოზიციას; „დ" — თეთრებს II სვლით მაშინვე შეუძლიათ აიყვანონ შავების ქვა, მაგრამ ამას, ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოზიციის გამეორებისკენ მივყავართ. ამიტომ, არსებული წესის თანახმად, თეთრებს არ შეუძლიათ გააკეთონ II სვლა და დაატყვევონ ქვა. მათ ჯერ აუცილებლად სხვა სვლა უნდა გააკეთონ დაფის სხვა, ნებისმიერ მონაკვეთზე, თუ არის ამის შესაძლებლობა. შემდეგ კი II სვლასაც გააკეთებენ.

### „ატარი"

გოს ერთ-ერთი ტექნიკური ხერხია მოწინააღმდეგის ქვის ან ქვების ტყვედ ჩაგდება. ამ მუქარას იაპონურად „ატარი" ეწოდება; მაგალითად, №14 დიაგრამაზე შავი ქვები აღმოჩნდა ატარის მდგომარეობაში, მათ დარჩათ მხოლოდ თითო თავისუფალი პუნქტი „ა", თეთრებს შეუძლიათ გააკეთონ სვლა „ა" წერტილში, რათა შავი ქვა ტყვედ ჩაიგდონ. №15 დიაგრამაზე ატარის მდგომარეობაშია შავების ორი და თეთრების სამი ქვა.




დიაგრამა 14



დიაგრამა 15

თამაშის დროს ატარისაგან თავდაცვის ხერხია გადაბმა (თუ გამოუვალ ვითარებაში არა ვართ). მაგალითად, №16 დიაგრამაზე შავებმა დააღწიეს თავი ატარის საფრთხეს („ა" პოზიცია), ქვის გადაბმით შექმნეს სამი თავისუფალი პუნქტი; „ბ" პოზიცია: შავების ორი ქვა ატარის მდგომარეობაშია, თუ ორი მხრიდან ორი თეთრი ქვა დავუმატეთ. თუ შავებმა გადაბმა არ გააკეთეს და დაფის სხვა ნებისმიერ ადგილზე ითამაშეს, მაშინ თეთრები თავიანთი პირველი სვლით ტყვედ ჩაიგდებენ შავების ორ ქვას („გ" პოზიცია), შავები კი მუქარის თავიდან ასაცილებლად აკეთებენ გადაბმას მესამე ქვით („დ" პოზიცია) და კვლავ ქმნიან სამ თავისუფალ პუნქტს.




დიაგრამა 16

ვლადიმერ კანდელაკი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი შაშში, საქართველოს შაშის ფედერაცის პრეზიდიუმის წევრი.

• • •

(დასასრული იქნება)

ძმა ძმისთვის...

# ხელს უწვდის კურელა

„ანკოფი". ასე ეწოდება კლუბს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროპაგანდას უწევს ქართულ კულტურას, თანამემამულეებს აცნობს ჩვენს წარსულსა და აწმყოს. „ანკოფის" დამაარსებელი და აქტიური მოღვაწეა ჩვენი კულტურის დიდი ქომაგი სტეფან კურელა: სტეფანი იმ კურელების ნაშიერი გახლავთ, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობით („სიკვდილი მთაში") რომ გაიცნო მკითხველმა. ალბათ გახსოვთ:

— „ხევსურები ამბობენ სოფელში წავასვენოთო ამაღამ, ხვალ კი ბარისახოშიო.

— არა, არ მინდა. ჩვენ ასეთი პირობა გვქონდა, პირობა კი არა, საუბარი, რომ სადმე მყინვარზე დაგვესაფლავებინა ერთმანეთი. აქ საუცხოო ადგილია, მდინარე, კლდე, კლდის ძირში დავასაფლავებ, კლდეში მარმარილოს წარწერას გავუკეთებ შემდეგ. ასე ერჩივნა ელპიდეს.

— თქვენ?

— მეც ასე, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ ელპიდეც ასე მოიქცეოდა, მე რომ შემთხვეოდა"...



...მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალფრედ კურელა 1919 წელს მოსკოვის ინტერნაციონალური ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის სხვა მონაწილეებთან ერთად მიუღია ლენინს. შემდეგ ახალგაზრდა გერმანელი კომუნისტი ჩვენს ქვეყანაში დასახლებულა, ერთხანს ფსხუს თვალწარმტაც ხეობაშიც ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. აქ მოუსწრო ომმა. კურელა საბჭოთა მეომრების მხარდამხარ ებრძოდა ფაშისტებს კავკასიონის მისადგომებთან. ერთ უღელტეხილს ალფრედ კურელას სახელი დაერქვა.

1940 წელს კურელებს შეეძინათ ვაჟი სტეფანი, რომელიც ახლა ოჯახთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობს და გატაცებულია ეთნოგრაფიით.

სტეფანს ეთნოგრაფიული კარიერა აქ, ჩვენში დაუწყია. ამიტომ ორი წლის წინათ სტუმარი ხევსურეთში სწვევია აძუნდას, სადაც ის ტრაგედია დატრიალდა, მოუნახულებია ძველი მეგობარი ალექსი ჭინჭარაული, მისი კერძო მუზეუმი... შემდეგ სწვევია საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიურ კლუბს, სადაც ხევსურეთში მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოსურათები დაუტოვებია.

ამ დღეებში კი ალპიურ კლუბში დეპეშა მოვიდა ბერლინიდან: „საქართველოს ალპიურ კლუბს. რით შეგვიძლია დავეხმაროთ განსაცდელში ჩავარდნილ მთის მაცხოვრებლებს. კურელა".

სტიქიისაგან დაზარალებულ საქართველოს მთიანეთს დახმარების ხელს უწვდის გერმანელი მეგობარი სტეფან კურელა.



ეს სურათები ს. კურელას მიერ ხევსურეთშია გადაღებული.

# II ტური

## „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:2 (0:1)

სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 14 მარტი. 22.000 მაყურებელი.

„გურია“: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა (აკოფიანი, 70), ჩხაიძე (ხაგბა, 65), ფრიდონაშვილი, მეგრელაძე.

„სპარტაკი“: დასაევი, კაიუმოვი, ხუსლოპაროვი, ხიდიატულინი, ბუბნოვი, ერიომენკო, მელიქიანი, პასულკო, შმაროვი (კაპუსტინი, 78), ჩერენკოვი (ნოვიკოვი, 81), როდიონოვი.

მსაჯი რ. იუშკა (ვილნიუსი).

გოლები: პასულკო (35), როდიონოვი (47).

გააფრთხილეს მელიქიანი.

დუბლიორები — 1:2 (ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა აკოფიანმა).

დებიუტი უმაღლეს ლიგაში ყოველი გუნდისთვის საგანგებო, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა. ასეთივე დიდმნიშვნელოვანია იგი დებიუტანტის გულშემატკივართათვის. წარმატებას ასეთ დროს გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ისეთი სიძლიერის, გამობრძმედილ გუნდთან, როგორიც მოსკოვის „სპარტაკია“. ლანჩხუთის „გურიის“ დებიუტი 14 მარტს მარცხიანი გამოდგა. ეს სასტარტო წარუმატებლობა, რა თქმა უნდა, დიდად დასანანია, მაგრამ საკუთარ თავს უფლებას ვაძლევთ საკითხი ასე დავსვათ: რა გვაჩვენეს უმაღლესი ლიგის ამ პირველ მატჩში ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა? საკუთარი ამბიციების დასამშვიდებლად არ ვამბობთ, მაგრამ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მასპინძლებმა მთელი მატჩი ჩაატარეს სრული დატვირთვით, აქტიურად, გამოავლინეს საკმარისი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება და თუ „სპარტაკმა“ გაიმარჯვა, ამან ჩვენში პესიმიზმი არ უნდა გამოიწვიოს. „სპარტაკი“ — „სპარტაკია“, მის რიგებში მაღალი კლასის ფეხბურთელები გამოდიან, რომლებმაც ისეთ მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებშიც, როცა სათამაშო მინდორი გაუვალი გუბეებით იყო დატბორილი, მაინც აჩვენეს თავიანთი სპორტული კლასი, მასპინძლებმა კი მაღალი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს და თუ ეს შერთება, აქტიური განწყობა ფეხბურთელებმა მთელი სეზონის მანძილზე შეინარჩუნეს, უდავოა, საბოლოო შედეგი ურიგო არ უნდა გვექნეს.

საკმაო ხანს თამაში მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა, შემდეგ ტყებუჩავამ დაარტყა კარში და დასაევმა ძნელი ბურთი მოიგერია, მე-20 წუთისთვის ასეთივე ძნელი ბურთი აიღო იმნაძემ, შემდეგ როდიონოვმა ააცილა კარს.

პირველი ნახევრის დასასრულისთვის სპარტაკელები უკვე საფუძვლიანად ფლობდნენ ინიციატივას, „გურიის“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, 35-ე წუთზე პასულკომ მარცხენა ფრთიდან მიიღო გადაცემა და გოლიც გაიტანა — 1:0.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და მოსკოველებმა ორიოდე წუთში ახალ წარმატებას მიაღწიეს, ლანჩხუთელთა კართან შექმნილი მძიმე მომენტის შემდეგ როდიონოვმა მეორე ბურთი გაიტანა.

0:2 — ასეთ სიტუაციაში სპარტაკელთა ორგანიზებული დაცვის დაძლევა მეტად ძნელი საქმე გამოდგა, თუმცა, ხლუსს, მ. თევზაძეს, კოპალეიშვილს შეეძლოთ ანგარიშის სხვაობის შემცირება, ამ მომენტებში უშეცდომოდ ითამაშა მეკარე დასაევმა.

სასტარტო ემოციები წარსულის საქმეა, წინ კი ახალი ბრძოლებია, ლანჩხუთელ ფეხბურთელებს არც „სპარტაკთან“ შეხვედრაში შეურცხვენიათ თავი და, იმედი გვაქვს, სტუმრადაც ღირსეულად იბრძოლებენ.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
(ჩვენი საკ. კორ.).

ჩვენს გუნდებს მესამე ტურის მატჩები 21 და 22 მარტს აქვთ ჩასატარებელი. „გურია“ შაბათს ხარკოვში შეხვდება „მეტალისტს“, ხოლო თბილისის „დინამო“ კვირას მოსკოვში ითამაშებს „ტორპედოსთან“.

15 მარტს მოსკოვის „ოლიმპიურის“ დახურულ სპორტკომპლექსში შედგა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის ბოლო მატჩი. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს მინსკელი თანაკლუბელები.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

## გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ⊙ მდგომარეობა 17 მარტისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 4 | (—0) |
| 2. „არარატი“ (ერევანი) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 4 | (—0) |
| 3. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 3 | (—1) |
| 4. ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 | (—1) |
| 5. „შახტიორი“ (დონეცკი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 | (—1) |
| 6. „დინამო“ (მოსკოვი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 | (—1) |
| 7. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 | (—2) |
| 8. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 | (—3) |
| 9. „დინამო“ (მინსკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 | (—3) |
| 10. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 | (—3) |
| 11. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 | (—3) |
| 12. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 | (—3) |
| 13. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-7 | 1 | (—3) |
| 14. „დინამო“ (კიევი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 | (—0) |
| 15. „დინამო“ (თბილისი) | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 | (—2) |
| 16. „გურია“ (ლანჩხუთი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 | (—2) |

## საქართველოს პირველობა

14 და 15 მარტს გაიმართა რესპუბლიკის პირველი ჯგუფის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის მატჩები:

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, „სულორი“ (ვანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „საქური“ (წალენჯიხა) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მართლი“ (გორის რ-ნი) 0:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0, „კოლხეთი“ (ხობი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 3:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „კახეთი“ (თელავი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:3, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0, „დინამო“ (გაგრა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:3, „დინამო-2“-„იმედი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1.

# ევროპის საკლუბო ტურნირები

**ფეხბურთის** მოყვარულებმა უკვე იციან, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი სტამბულის „ბეშიქთაშსა“ და კიევის „დინამოს“ შორის თურქეთის ქალაქ იზმირის ქემალ ათათურქის სახელობის სტადიონზე დინამოელებმა ანგარიშით 5:0 (2:0) მოიგეს და ფაქტიურად ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდეს. ძნელი წარმოსადგენია, კიეველებმა რომ საკუთარ მინდორზე მსგავსი ანგარიშით წააგონ საპასუხო შეხვედრა და ექვსქვეშ დააყენონ პირველი გამარჯვების გარანტია.

ამ მატჩში დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჩანოვი, გორილი, ბალტაჩა, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი (მიხაილიჩენკო), ბელანოვი, ბალი, ზავაროვი, ევტუშენკო, ბლოხინი (მოროზოვი). 2-2 ბურთი გაიტანეს ბლოხინმა და ევტუშენკომ, ერთი — ბელანოვმა. გააფრთხილეს რაცი და კუზნეცოვი.

ამავე დღეს თასების მფლობელთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციის „მალმე“ და ჰოლანდიის „აიაქსი“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა შვეციის გუნდმა (სხვათა შორის, როცა ეს მატჩი უამინდობის გამო გადაიდო, საკავშირო „სპორტპროგნოზმა“ უპირატესობა „აიაქსს“ მიანიჭა ზუსტად ასეთივე ანგარიშით).

• • •

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა ამ დღეებში ოფიციალურად გააფრთხილა ინგლისის კლუბები, რომ მათი დისკვალიფიკაცია ევროპულ საკლუბო გათამაშებებში ორი-სამი წლით კიდევ გაგრძელდება.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფა-ს ხელმძღვანელობას, რათა თავის მორიგ სხდომაზე განეხილა ინგლისის გუნდებისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის საკითხი, ამ ქვეყანაში ახლა არა მარტო საფეხბურთო მმართველი ორგანოები, არამედ უშუალოდ მთავრობაც ქმედით ზომებს მიმართავს სტადიონებზე მასობრივი ხულიგნობის აღსაკვეთად.

ჟაკ ჟორჟის პოზიციას უკვე გაეცანით, თვით უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა კი დაადგინა: ინგლისის კლუბები კიდევ ერთი წელი ვერ გამოვლენ ევროპის საკლუბო ტურნირებში, მათი შეწყალების საკითხი განიხილება ზუსტად 12 თვის შემდეგ.

უეფა-ს ოფიციალურ დადგენილებაში ნათქვამია: „აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ინგლისის დელეგაციის მოხსენება, თუ როგორ იბრძვიან ამ ქვეყანაში საფეხბურთო მატჩებზე ძალადობისა და ვანდალიზმის აღმოსაფხვრელად. და, მაინც, აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა კიდევ ერთი წელი მოიცადოს ინგლისის კლუბების ევროპულ ტურნირებში დაშვების საკითხის განხილვამდე“.

ინგლისის დელეგაციის გარანტიებში აღნიშნულია, რომ ხულიგნობა მათს სტადიონებზე 60 პროცენტით შემცირდა, მოწინააღმდეგე კლუბების გულშემატკივრები სხვადასხვა სექტორში არიან განაწილებული, ვიდეოკამერები შეუსვენებლივ აკონტროლებენ მათს საქციელს, ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და ტრიბუნებზე შეტანა კატეგორიულად აკრძალულია და ა. შ.

მაგრამ საქმის მთავარი სირთულე ისაა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება უარს ამბობს აუკრძალოს გულშემატკივრებს უცხოეთში გამგზავრება, მას უფლება არა აქვს ჩამოართვას მათ უცხოეთში გასამგზავრებელი პასპორტები, ტურისტულ კომპანიებს აუკრძალოს გულშემატკივართა უცხოეთში გამგზავრება ან სამეთვალყუროდ მათ თან გააყოლოს პოლიციელთა რაზმები.



**საფრანგეთი.** ქ. ბორდოს ფეხბურთელები, რომლებიც ხვალ თბილისში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვდებიან, საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატის ლიდერები არიან. „ბორდომ“ ამ დღეებში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „სოშო“ და 27 თამაშის შემდეგ 39 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა „მარსელი“ (38 ქულა), რომელმაც ფრედ ითამაშა „ტულონთან“ — 0:0.

„სოშოსთან“ შეხვედრაში კვლავ გამოიჩინა თავი „ბორდოს“ თავდამსხმელმა ფილიპ ფარყონმა: მან ორი ბურთი გაიტანა.

**ესპანეთი.** ეროვნულ ჩემპიონატში წინაა მადრიდის „რეალი“, რომელმაც 31-ე ტურში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბილბაოს „ატლეტიკი“. ერთი ბურთი გაიტანა მადრიდელთა თავდამსხმელმა უგო სანჩესმა, იგი ახლა პირველ ადგილზეა საუკეთესო ბომბარდირთა სიაში (26 გოლი).

„რეალმა“ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა წააგო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“ (2:4), ამიტომ გუნდის მწვრთნელმა ლ. ბეენჰაკერმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა თავისი გუნდის დაცვაში.

**იტალია.** ჩემპიონის წოდებას რეალურად უმიზნებს „ნაპოლი“, რომლის თავდასხმას მეთაურობს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი არგენტინელი დიეგო მარადონა.

„ნაპოლი“ ახლა 5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „რომას“. განვლილ, 22-ე ტურში ერთმანეთს სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდა, თამაშს 85 ათასი მაყურებელი დაესწრო. მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. დ. მარადონამ ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ რომაელთა მეკარე ფრანკო ტანკრედიმ ყველა სახიფათო მომენტის მოგერიება შეძლო. იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტური დარჩა.

## მწვრთნელის აზრით

**ევროპის** ფეხბურთის სუპერთასზე ბუქარესტის „სტიაუას“ გამარჯვებამ რუმინეთის სპორტულ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მონაკოში კიევის „დინამოს“ დამარცხების შემდეგ რუმინელთა გუნდის მწვრთნელმა ანჟელ იორდანესკუმ განაცხადა:

— ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩვენს გამარჯვებას არც ერთი სპეციალისტი არ ელოდა, სხვათა შორის, არც ჩვენ გვქონდა გამარჯვების იმედი, მაგრამ ამ შეხვედრაში მოპოვებულმა წარმატებამ ცხადყო, რომ „სტიაუა“ ჭეშმარიტად საერთაშორისო კლასის გუნდია.

—კიევის „დინამოსთან“ სათამაშოდ დიდხანს და გულმოდგინედ ვემზადებოდით. ჩვენი გამარჯვება, ვფიქრობ, იმანაც განაპირობა, რომ „რომასთან“, „ატლეტიკოსა“ და „სელტიკთან“ დინამოელთა შეხვედრების ვიდეოჩანაწერები ყოველმხრივ შევისწავლეთ.

— ჩვენი ტაქტიკა მონაკოში მარტივი იყო: „ჯერ თავდაცვა, მერე შეტევა“. ამ ტაქტიკამ, როგორც ხედავთ, გაამართლა.

## გიგანტომანიის წინააღმდეგ

არ არის გამორიცხული, რომ შვეიცარიამ ფეხბურთელთა ერთი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ისურვოს. ალბათ ამიტომ მიაჩნიათ ამ ქვეყნის სპეციალისტებს, რომ გიგანტური საფეხბურთო სტადიონების აშენება არ არის საჭირო.

ჟენევის ერთ-ერთი გაზეთი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას საკმარისია ერთი დიდი სტადიონი ჰქონდეს, დანარჩენები კი მხოლოდ 30-40 ათას მაყურებელს იტევდეს.

— ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე „მარაკანასა“ და „ბერნაბეუს“ მსგავსი გიგანტების მშენებლობა უაზრობაა, — აცხადებს გაზეთი, — რადგან მაყურებლის ფსიქოლოგია შეიცვალა. ფეხბურთის მაყურებელს სჭირდება მაქსიმალური კომფორტი და უსაფრთხოება, რის უზრუნველყოფაც სტადიონებზე ძნელი მოსახერხებელია.

FIFA founded 1904 FIFA NEWS

## „ფიფა-ნიუსის“ ფურცლებზე

**ყველა** დაინტერესებული ქვეყნის ასოციაციამ წარუდგინა ფიფა-ს თავისი წინადადებები ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მასპინძელი ქვეყნის არჩევასთან დაკავშირებით. კანდიდატურებს განიხილავს ფიფა-ს სპეციალური კომიტეტის სხდომა 1987 წლის 10 აპრილს, ხოლო კონჰრესი მოეწყობა 1988 წლის 30 ივნისს და საკითხიც საბოლოოდ სწორედ მაშინ გადაწყდება.

ფიფა-ს დებულების 39-ე პუნქტის თანახმად, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება არ შეიძლება ზედიზედ ორჯერ ჩატარდეს ერთსა და იმავე კონტინენტზე. ამიტომ ევროპის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნები ახლა თავიანთ კანდიდატურებს ვერ წარადგენენ.

გამოვიდა ფიფა-ს ახალი წიგნი: „მსოფლიო ჩემპიონატი—86“. 240-გვერდიანი ტექსტი (ოთხ ენაზე), 200-ზე მეტი ფერადი ფოტოსურათი, ილუსტრაცია და დიაგრამა მკითხველის თვალწინ აცოცხლებს 1986 წლის მთავარი სპორტული ასპარეზობის პერიპეტიებს. წიგნის ავტორები მოგვითხრობენ არგენტინის ნაკრების სპორტულ გზაზე; სპეციალისტები დაწვრილებით გვიამბობენ მეხიკოს ფინალური ასპარეზობის მატჩებში შეგდებულ 132 გოლზე, ფეხბურთელებზე, რომლებმაც საყოველთაო ყურადღება მიიქციეს. სპეციალისტები აანალიზებენ ასპარეზობის მონაწილე ოცდათხივე გუნდის თამაშს. წიგნის საგანგებო განყოფილება ეთმობა სტატისტიკის მოყვარულებს.

გრძელდება ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის (სეული — 1988) წინასწარი შეხვედრები. შეგახსენებთ, რომ „დ“ ჯგუფში უკვე შედგა შემდეგი მატჩები: ნორვეგია — სსრ კავშირი (0:0), შვეიცარია — ნორვეგია (1:0), თურქეთი — შვეიცარია (3:2). 15 აპრილს საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდება თურქეთის ოლიმპიურ ნაკრებს, 16 აპრილს კი შედგება შვეიცარიისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა მატჩი.

ჟურნალი იუწყება, რომ საფრანგეთის სპორტულმა გაზეთმა „ფრანს ფუტბოლმა“ საბჭოთა ფეხბურთელი იგორ ბელანოვი (კიევის „დინამო“) ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. იქვე აღნიშნულია, რომ საბჭოთა ჟურნალისტებმა თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს ასევე კიევის „დინამოს“ წევრი ალექსანდრე ზავაროვი.

ცვლილებებია შეტანილი მინიფეხბურთის წესებში, გაეცანით მათ!

1. გუნდი, რომლის მოთამაშესაც მინდვრიდან გააძევებენ, ხუთი წუთის განმავლობაში ვერ გამოიყვანს მის მაგიერ სხვა ფეხბურთელს. შემდეგ კი მოთამაშის შეცვლა დაშვებულია.

2. მას შემდეგ, რაც მეკარე ბურთს „თამაშში შეიყვანს“ ხელით ან ფეხით, მას უფლება არა აქვს შეეხოს ბურთს, სანამ მოედნის შუა ხაზს არ გადაკვეთს ან რომელიმე მეტოქეს არ შეეხება. ეს მოთამაშეებს ართმევს შესაძლებლობას წამდაუწუმ მეკარეს დაუბრუნონ ბურთი და ამით დრო გაიყვანონ. ესპანეთში ამ წესებით ჩატარდა ფიფა-ს მეორე ტური მინიფეხბურთში.

ჟურნალის ბოლო გვერდებზე დაბეჭდილია ცნობა, რომ სამი დღის განმავლობაში 180 ათასმა მაყურებელმა ნახა ფილმი „გმირი“ — 1986 წლის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი დოკუმენტური სურათი. ფილმის მთავარი მოქმედი პირია დიეგო მარადონა.

ინგლისურიდან თარგმნა
**პაპი ბოჭორიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი ფეხბურთის მოლოდინში



ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, თბილისელი ფეხბურთის მოყვარულნი მოუთმენლად მოველით ხვალინდელ დღეს: ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში, მოსკოვის ტორპედოელები აქ საფრანგეთის ქალაქ ბორდოს ამავე სახელწოდების გუნდს უმასპინძლებენ. „ბორდომ" თავის ქალაქში პირველი მატჩი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოუგო მოსკოვის „ტორპედოს" — 1:0, ასე რომ სარევანშო შესაძლებლობები საკმაოდ დიდია, რაშიაც ტორპედოელებს ჩვენი მაყურებლის მხარდაჭერაც დაეხმარება.

მოსკოვის ტორპედოელებმა თბილისის „დინამოს" სტადიონზე გუშინ თავიანთი მორიგი საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარეს. სურათებზე აღბეჭდილია ამ ვარჯიშის მომენტები.



### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სუპერფინალისტები ძალებს ზომავენ

დასასრული

სუპერფინალურ წყვილში ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებისთვის უნდა იბრძოლონ.

კაუნასის „ჟალგირისთან" შეხვედრაში დინამოელთა მწვრთნელებმა კაპუსტინი და ოპოშნიანი დაასვენეს და შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, ახალგაზრდებს ანდეს. უნდა ითქვას, რომ თამაში გამოვიდა. ბრძოლა იყო საინტერესო, დაძაბული, სანახაობრივად ლამაზი.

დასაწყისში ერთგვარ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. მე-10 წუთისთვის ანგარიში გახდა 20:18 „დინამოს" სასარგებლოდ. მომდევნო ხუთ წუთში თბილისელებმა განახორციელეს რამდენიმე ეფექტური შეტევა, რომლებიც ბოროდაჩოვმა სამჯერ ზუსტი სროლით დაასრულა. 15 წუთის შემდეგ ტაბლო დინამოელთა სასარგებლოდ 8 ქულიან სხვაობას' აღნიშნავდა — 35:27. ტაიმი კი მასპინლებმა 9 ქულით მოიგეს — 45:36.

თამაში „ჟალგირისის" მძაფრი შეტევებით განახლდა. განსაკუთრებით აქტიური და სახიფათო იყო ლეკარაუსკასი, კაუნასელთა ყველაზე ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელი (206 სმ), რომლის უვნებელყოფა „დინამომ" ვერ შეძლო და რომელმაც საბოლოო ჯამში თავის გუნდს 28 ქულა შესძინა.

თბილისელებს, უკვე მერამდენედ, ერთხელ მოგებული ბრძოლის ხელახლა მოგება დასჭირდათ. 26-ე წუთზე „ჟალგირისმა" ამ შეხვედრაში პირველად გაათანაბრა ანგარიში — 51:51. ეს მოხდა ვენცლოვასის ზუსტი სროლის შემდეგ. მერე ერთხანს უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა და ანგარიშიც მორიგეობით ხან ერთ, ხან მეორე გუნდს მიჰყავდა.

ბოლოს მაინც თბილისელებმა იმძლავრეს. ამ პერიოდში ზუსტად ითამაშა ბოროდაჩოვმა, რომელსაც კარგად აუბეს მხარი პარტნიორებმა, განსაკუთრებით ტიუბინმა და ფერიაშვილმა. „დინამომ" ანგარიშით 87:80 გაიმარჯვა და მეორე სუპერფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

კვირას ლენინგრადსა და რიგაში მორიგი ტურის კიდევ ორი მატჩი გაიმართა.

**ლენინგრადი.** ადგილობრივი „სპარტაკისა" და ცსკა-ს შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 81:69.

**რიგა.** გაცილებით მძაფრად წარიმართა რიგის ვეფ-ისა და დონეცკის „შახტიორის" შეხვედრა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებში გადაწყდა. დონეცკელმა კალათბურთელებმა იმარჯვეს — 84:81.

ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი მატჩი დარჩა. 17 მარტს ლენინგრადის „სპარტაკი" დონეცკის „შახტიორს", 18 მარტს კი თბილისის „დინამოს" უმასპინძლებს. ამ დღეს კაუნასში „ჟალგირისი" რიგის ვეფ-ს შეხვდება.

**ნოდარ გუგუშვილი.**

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 37 | 29 | 8 | 3475-2975 | 66 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 36 | 23 | 13 | 3157-3006 | 59 |
| „დინამო" (თბილისი) | 36 | 21 | 15 | 2798-2951 | 57 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 35 | 21 | 14 | 2892-2815 | 56 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 36 | 19 | 17 | 2903-2928 | 55 |
| ვეფ (რიგა) | 36 | 13 | 23 | 3184-3279 | 49 |

### საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

# თვლა არა აქვს...

უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. მე-9 ტურში სულ 10 პარტია დამთავრდა ყაიმით, სამაგიეროდ, გადადებულ პარტიებს არა აქვს თვლა: 17 შეხვედრაა დასამთავრებელი. ბევრ მონაწილეს 3-3, 4-4 პარტია აქვს გადადებული.

**VIII ტურში** კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ქეთევან მელაშვილმა. მან გაგნიაშვილს მოუგო. ხუგაშვილმა მახარაძეს აჯობა, ალიხანაშვილმა — ტერელაძეს. ჩაიკოვსკაია-კახიანისა და ნინო მელაშვილ-კობაიძის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

**IX ტურში** ნინო მელაშვილმა იმარჯვა — ამჯერად მან ხუციშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი. ქასოშვილმა მოუგო თანდაშვილს, გაგნიაშვილი-სადუნიშვილი და ლაგვილავა-ალიხანაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კახიან-ქეთევან მელაშვილის ორთაბრძოლა.

9 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ნინო მელაშვილი — 6,5 ქულა (8 შეხვედრიდან), ქეთევან მელაშვილი — 5,5 (1, 8-დან), ციალა ქასოშვილი — 5 (2,9-დან), ქეთევან კახიანი — 4,5 (2, 8-დან), ციური კობაიძე — 4,5 (1, 8-დან), თამარ ხუგაშვილი — 4 (3, 9-დან), გიული ალიხანაშვილი — 4 (9-დან), სოფიკო ნიკოლაძე — 3,5 (3, 8-დან), ალა ჩაიკოვსკაია — 3,5 (2, 9-დან), თეა ლანჩავა — 3 (4, 9-დან), ლია სადუნიშვილი — 3 (2, 8-დან)...

### სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის ⊙ I ლიგა



**თბილისში** დამთავრდა პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი ტური იმ გუნდებს შორის, რომლებიც V-XII ადგილებისთვის იბრძვიან (ოთხი დანარჩენი კოლექტივი, ამავე პერიოდში, კუიბიშევში ასპარეზობდა).

# რევანშების ტური

შეჯიბრების ბოლო ორ დღეს რევანშების ტური შეიძლება ვუწოდოთ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა დნეპროპეტროვსკის „სტალი" დაამარცხეს, თანაც ზუსტად 16 ქულით — 78:62 (პირველი შეხვედრა ჩვენებმა ასეთი სხვაობით დათმეს). ყველაზე მეტი ქულა თავის გუნდს (22) ო. კორკოტაძემ შესძინა.

უკანასკნელი შეხვედრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა წააგეს როსტოვის „ლოკომოტივთან" — 71:79. არა და ორი დღით ადრე ეს გუნდი დაამარცხეს.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სტროიტელი" (ფრუნზე) — „ლოკომოტივი" 84:77, „სტალი" — „სტროიტელი" 78:68.

პირველი ლიგის გუნდებმა კიდევ ორი ტური უნდა ჩაატარონ. 25-28 მარტს ლენინგრადში ჩვენი კალათბურთელები ადგილობრივ „ბურევესტნიკსა" და „ვოლნას" შეხვდებიან, 10-12 აპრილს ფრუნზეში კი „სტროიტელსა" და კუიბიშევის კუაი-ს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დღეისათვის VII ადგილზეა.

### ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

# მერვე პარტია

**სამდღიანი** შესვენების შემდეგ განახლდა პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩი. ამჯერადაც, ამ ორთაბრძოლაში მეოთხედ, ახალინდური დაცვა გათამაშდა. პარტიის გადადების წინ დაფაზე საყაიმო პოზიცია შეიქმნა და სავარაუდებელია, რომ მეტოქენი, თამაშის განუახლებლად დაზავდებიან.

**ა. კარპოვი — ა. სოკოლოვი**

**ახალინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კa6 5. b3 კb4+. 6. კd2 კe7 7. მc3 0-0 8. e4 d5 9. cd კ:f1 10. მფ:f1 ed 11. e5 მe4 12. ეc1 c5 13. მფg2 მc6 14. ეe1 მ:c3 15. კ:c3 ლd7 16. ლd3 ეac8 17. კd2 h6 18. ლb5 ლf5 19. კc3 cd 20. კb2 კc5 21. a3 d3 22. ეed1 a5 23. ლ:d3 ლ:d3 24. ე:d3 d4 25. მ:d4 მ:d4 26. კ:d4 კ:d4 27. ე:c8 ე:c8 28. ე:d4 ეc3 29. b4 ე:a3 30. ba ე:a5 31. f4 g6 32. მფh3 მფf8 33. ეd7 ეa2 34. ეb7 ეb2 35. ეc7 b5 36. ეb7 მფg8 37. ეd7 მფf8 38. g4 ეb3+ 39. მფg2 ეb2+. 40. მფg3 ეb3+ 41. მფf2. პარტია გადაიდო.

მატჩის ანგარიშია 4,5:2,5 ა. კარპოვის სასარგებლოდ.

გაცნობებთ, რომ შეიცვალა მატჩის რეგლამენტი. ამიერიდან პარტიები გათამაშდება სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას.

# მდგომარეობა დაძაბა

**სამტრედია** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატის X ტური ასე დამთავრდა: გოგიჩაიშვილი-ტაბატაძე — 0,5:0,5, გოგოლაძე-ლობჟანიძე — 0,5:0,5, ხეცურიანი-ჩაჩიბაია — 1:0, თეიმურაზიანი-ლეკვეიშვილი — 0:1, ხოფერია-სიჭინავა — 0:1, ნეჩაევი-პოპოვი — 0:1, შალამბერიძე-ტყებუჩავა — 1:0.

მანაგაძის ავადმყოფობის გამო მისი პარტია ლექავასთან მოგვიანებით გაიმართება.

დამთავრდა გადადებული პარტიები. ჩაჩიბაიამ მოუგო ლობჟანიძეს (V ტური), გოგოლაძე დაამარცხა პოპოვმა (V), ლობჟანიძემ სძლია მანაგაძეს (VII), ნეჩაევი დაამარცხა ტყებუჩავამ (IX).

ამრიგად, ათი ტურის შემდეგ გათამაშებას სათავეში ერთბაშად ათი მოჭადრაკე ჩაუდგა: ბესო ხეცურიანი — 6,5, დავით ჩაჩიბაია 6 (1), ზაზა ხოფერია, კახა შალამბერიძე, რომან სიჭინავა —6-6, იანის პოპოვი, გიორგი გოგიჩაიშვილი, გოჩა ტყებუჩავა — 5,5-5,5, თამაზ ტაბატაძე — 5 (1).

**ბექან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

### „სპორტპროგნოზი": სპეციალისტთა აზრი (მე-12 ტირაჟი, 21-24 მარტი)

| წყვილები | | პროგნოზები | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ფეხბურთი. „ქაირათი" — ცსკა | 21.III | 20 | 60 | 20 |
| 2. ფეხბურთი. „ზენიტი" — „დინამო" (მოსკოვი) | 21.III | 40 | 30 | 30 |
| 3. ფეხბურთი. „ჟალგირისი" — „დნეპრი" | 21.III | 70 | 30 | 0 |
| 4. ფეხბურთი. „დინამო" (მინსკი) — „შახტიორი" | 21.III | 30 | 70 | 0 |
| 5. ფეხბურთი. „სპარტაკი" — „ნეფთჩი" | 21.III | 100 | 0 | 0 |
| 6. ფეხბურთი. „მეტალისტი" — „გურია" | 21.III | 70 | 30 | 0 |
| 7. ფეხბურთი. „დინამო" (კიევი) — „არარატი" | 22.III | 100 | 0 | 0 |
| 8. ფეხბურთი. „ტორპედო" — „დინამო" (თბილისი) | 22.III | 40 | 40 | 20 |
| 9. ჰოკეი. „ავტომობილისტი" (სვ.) — „იუსტალი" (უსტინ.) | 24.III | 30 | 20 | 50 |
| 10. ჰოკეი. „ტორპედო" (უსტ-კამ.) — „დინამო" (ხარკ.) | 24.III | 80 | 10 | 10 |
| 11. წყალბურთი. ცსკ ვმფ — „დინამო" (ლვოვი) | 21.III | 100 | 0 | 0 |
| 12. წყალბურთი. „დინამო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" | 22.III | 60 | 10 | 30 |
| 13. რეგბი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი) | 22.III | 20 | 0 | 80 |

შენიშვნა. იმის გამო, რომ 28-31 მარტის პერიოდში ცოტა გუნდური შეჯიბრება ტარდება, „სპორტპროგნოზის" მე-13 ტირაჟი არ გაიმართება. მე-14 ტირაჟის პროგრამას მკითხველები 21 მარტს გაეცნობიან. სპორტპროგნოზის მე-10 ტირაჟის შედეგები 17 მარტს გამოქვეყნდება.

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, XI ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 18 (მძლეოსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი; ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06828